As of December 31 affiliates accounts payable were as follows:

	2020	2019
	As of December 31	**As of December 31**
Anadolu Cam Sanauii A.S.	3,375,429	3,726,147
Şişecam Dış Ticaret A.Ş.	433,880	1,149,652
T.sese ve cam Fabrikalari A.S.	83,613	70,862
Total	**3,892,921**	**4,946,661**

13. Loans and borrowings

As of December 31 interest bearing loans and borrowings was as follows:

	2020	2019
	As of December 31	**As of December 31**
Short-term loan	4,284,784	3,750,070
Interest payable	58,581	118,855
Total	**4,343,365**	**3,868,924**

	2020	2019
	As of December 31	**As of December 31**
Long-term loan	4,284,784	7,500,137
Total	**4,284,784**	**7,500,137**

a) Terms and debt repayment schedule

Terms and conditions of outstanding loans were as follows:

Loans from financial institution	Currency	Interest rate	Last Maturity Date	Principal Amount Outstanding	Accrued Interest	Next Repayment	Next Repayment
International financial corporation - IFC	USD	INDEX +2.9%	15-Oct-22	2,615,384	17,878	15/04/2020	653,846

14. Sales

Sales for the year ended December 31 were as follows:

	2020	2019
	For the year	For the year
Domestic sales	61,136,176	72,146,766
Export Sales	456,558	1,173,008
Total	**61,592,734**	**73,319,774**

Sales by customer for the year ended December 31 were as follows:

	2020	2019
	For the year	For the year
Jsc Borjomi	45,758,870	59,547,957
Jsc Lomisi	6,996,033	3,957,335
Others (less than 5%)	8,837,830	9,814,483
Total	**61,592,734**	**73,319,774**

15. Cost of sales

Costs of sales for the year ended December 31 were as follows:

	2020	2019
	For the year	For the year
Raw materials	19,047,157	24,580,954
Energy	14,070,619	17,851,192
Depreciation	7,000,609	8,580,614
Wages and related taxes	3,090,273	3,719,358
Production overheads	759,273	1,023,733
Total	**43,967,931**	**55,755,851**

16. Operating expenses

Operating expenses for the year ended December 31 were as follows:

	2020	2019
	For the year	For the year
Technical assistance and consulting expenses	4,004,630	4,851,843
Employee's Wages and Expenses	2,072,295	1,886,838
Bad debt expenses	402,706	15,991
Write down slow moving inventory	793,326	-
Services rendered	375,130	372,525
Amortization and Depreciation	751,558	757,315
Duties, Taxes and Levies	395,943	493,640
Insurance expenses	156,403	131,202
Maintenance expenses	200,468	133,878
Fuel expenses	50,801	62,975
Communication and IT expenses	29,889	37,537
Representation and hospitality expenses	8,904	60,006
Electricity expenses	38,173	37,860
Design and promotion expenses	46,713	4,706
Total of Others	299,515	394,081
Total	**9,626,453**	**9,240,398**

17. Financial income and expense

Financial income and expenses for the year ended December 31 was as follows:

	2020	2019
	For the year	For the year
Exchange rate gain	2,766,590	853,807
Interest income	203,314	108,392
Total financial Income	**2,969,904**	**962,199**
Exchange rate lost	4,518,187	2,542,689
Interest expense	546,030	832,253
Total financial expenses	**5,064,217**	**3,374,942**
Financial income and expenses, net	**2,094,313**	**2,412,743**

18. Financial Risk Management

Financial risk comprises market risk (including currency risk, interest rate risk and other price risk), credit risk and liquidity risk. The primary objectives of the financial risk management function are to establish risk limits, and then ensure that exposure to risks stays within these limits. The operational and legal risk management functions are intended to ensure proper functioning of internal policies and procedures to minimise operational and legal risks.

Credit risk

Credit risk is the risk is the risk that one party to a financial instrument will cause a financial loss for the other party by failing to discharge an obligation. Exposure to credit risk arises as a result of the sales of products on credit terms and other transactions with counterparties giving rise to financial assets.

The Company's maximum exposure to credit risk by class of assets is reflected in the carrying amounts of financial assets in the statement of financial position.

	2020	2019
	As of December 31	**As of December 31**
Trade accounts receivable, gross (Note 8)	11,144,664	13,718,814
Cash and cash equivalents (Note 7)	12,592,996	4,837,723
Total maximum exposure to credit risk	**23,737,660**	**18,556,537**

Credit risks concentration. The Company has no significant concentrations of credit risk since the customers portfolio is diversified among a large number of customers, both private individuals and companies. Although collection of receivables could be influenced by economic factors, management believes that there is no significant risk of loss to beyond the provisions already recorded in the consolidated and separate financial statements.

Market risk

Market risks arise from open positions in (a) foreign currencies and (b) interest bearing liabilities all of which are exposed to general and specific market movements. Management sets limits on the value of risk that may be accepted, which is monitored on a daily basis. However, the use of this approach does not prevent losses outside of these limits in the event of more significant market movements.

Sensitivities to market risks included below are based on a change in a factor while holding all other factors constant. In practice this is unlikely to occur and changes in some of the factors may be correlated – for example, changes in interest rate and changes in foreign currency rates.

Currency risk. In respect of currency risk, management sets limits on the level of exposure by currency and in total. The positions are monitored monthly. The table below summarizes the Company's exposure to foreign currency exchange rate risk at the end of the reporting period:

	As of December 31, 2019		
	Monetary financial assets	**Monetary financial liabilities**	**Net balance sheet position**
Georgian Lari	15,355,499	(2,176,375)	13,179,124
US Dollar	2,781,547	(16,354,980)	(13,573,433)
Euro	419,491	(286,301)	133,191
Total:	**18,556,537**	**(18,817,655)**	**(261,118)**
	As of December 31, 2020		
	Monetary financial assets	**Monetary financial liabilities**	**Net balance sheet position**
Georgian Lari	15,861,320	(2,486,187)	13,375,133
US Dollar	7,547,508	(12,767,360)	(5,219,852)
Euro	328,833	(385,546)	(56,714)
Total:	**23,737,660**	**(15,639,093)**	**8,098,567**

The above analysis includes only monetary assets and liabilities. Investments in equities and non-monetary assets are not considered to give rise to any material currency risk.

The following table presents sensitivities of profit and loss to reasonably possible changes in exchange rates applied at the end of the reporting period relative to the functional currency of the the Company with all other variables held constant:

	2020	2019
	As of December 31	As of December 31
US Dollar strengthening by 10%	(521,985)	(1,357,343)
US Dollar weakening by 10%	521,985	1,357,343
Euro strengthening by 10%	(5,671)	13,319
Euro weakening by 10%	5,671	(13,319)

The exposure was calculated only for monetary balances denominated in currencies other than the functional currency of the respective entity. The Company's exposure to currency risk at the end of the reporting period is not representative of the typical exposure during the year.

Interest rate risk. The Company takes on exposure to the effects of fluctuations in the prevailing levels of market interest rates on its financial position and cash flows. The table below summarises the Company's exposure to interest rate risks. The table presents the aggregated amounts of the financial assets and liabilities at carrying amounts, categorised by the earlier of contractual interest, repricing or maturity dates.

	Demand and less than 1 month	From 1 to 3 months	From 3 to 12 months	From 1 to 5 years	Total
Total financial assets	4,952,505	7,756,742	4,803,932	1,043,359	**18,556,537**
Total financial liabilities	(2,501,933)	-	(8,815,585)	(7,500,137)	**(18,817,655)**
Net interest sensitivity gap at 31 December 2019	**2,450,572**	**7,756,742**	**(4,011,653)**	**(6,456,779)**	**(261,118)**
Total financial assets	20,095,886	2,985,224	99,368	557,181	**23,737,660**
Total financial liabilities	(3,118,023)	-	(8,236,287)	(4,284,784)	**(15,639,093)**
Net interest sensitivity gap at 31 December 2020	**16,977,863**	**2,985,224**	**(8,136,918)**	**(3,727,602)**	**8,098,567**

The Company does not have formal policies and procedures in place for management of interest rate risks as management considers this risk as insignificant to the business.

Liquidity risk

Liquidity risk is the risk that an entity will encounter difficulty in meeting obligations associated with financial liabilities. The Company is exposed to daily calls on its available cash resources. Management monitors monthly rolling forecasts of the cash flows.

Management estimates that the liquidity portfolio of cash and bank deposits can be realised in cash within a day in order to meet unforeseen liquidity requirements.

The table below shows liabilities by their remaining contractual maturity. The amounts disclosed in the maturity table are the contractual undiscounted cash flows. Such undiscounted cash flows differ from the amount included in the statement of financial position because the statement of financial position amount is based on discounted cash flows. When the amount payable is not fixed, the amount disclosed is determined by reference to the conditions existing at the end of the reporting period. Foreign currency payments are translated using the spot exchange rate at the end of the reporting period.

The maturity analysis of financial liabilities at 31 December 2020 is as follows:

	Demand and less than 1 month	From 1 to 3 months	From 3 to 12 months	From 1 to 5 years	Total
Borrowings	-	-	3,868,924	7,500,137	**11,369,061**
Trade and other accounts payable	2,501,933	-	4,946,661	-	**7,448,594**
Net interest sensitivity gap at 31 December 2019	**2,501,933**	**-**	**8,815,585**	**7,500,137**	**18,817,655**
Borrowings	-	-	4,343,365	4,284,784	**8,628,149**
Trade and other accounts payable	3,118,023	-	3,892,921	-	**7,010,945**
Net interest sensitivity gap at 31 December 2020	**3,118,023**	**-**	**8,236,287**	**4,284,784**	**15,639,093**

19. Fair Value of Financial Instruments

Assets and liabilities not measured at fair value but for which fair value is disclosed. Fair values analysed by level in the fair value hierarchy and carrying value of assets and liabilities not measured at fair value are as follows:

	As of December 31, 2019			
	Level 1	**Level 2**	**Level 3**	**Carrying value**
Assets				
Cash and cash equivalents	4,837,723	-	-	**4,837,723**
Trade receivables	-	13,718,814	-	**13,718,814**
Total assets	**4,837,723**	**13,718,814**	**-**	**18,556,537**
Liabilities				
Borrowings	-	-	11,369,061	**11,369,061**
Trade payables	-	7,448,594	-	**7,448,594**
Total liabilities	**-**	**7,448,594**	**11,369,061**	**18,817,655**

	As of December 31, 2020			
	Level 1	**Level 2**	**Level 3**	**Carrying value**
Assets				
Cash and cash equivalents	12,592,996	-	-	**12,592,996**
Trade receivables	-	11,144,664	-	**11,144,664**
Total assets	**12,592,996**	**11,144,664**	**-**	**23,737,660**
Liabilities				**-**
Borrowings	-	-	8,628,149	**8,628,149**
Trade payables	-	7,010,945	-	**7,010,945**
Total liabilities	**-**	**7,010,945**	**-**	**7,010,945**

Financial assets carried at amortised cost. The fair value of floating rate instruments is normally their carrying amount. The estimated fair value of fixed interest rate instruments is based on estimated future cash flows expected to be received discounted at current interest rates for new instruments with similar credit risk and remaining maturity. Discount rates

used depend on credit risk of the counterparty. Fair value of held-to-maturity investments was determined based on quoted bid prices.

Liabilities carried at amortised cost. The estimated fair value of fixed interest rate instruments with stated maturity, for which a quoted market price is not available, was estimated based on expected cash flows discounted at current interest rates for new instruments with similar credit risk and remaining maturity. Carrying amounts of trade payables and other financial liabilities approximate fair values due to their short term maturities.

20. Shareholders' equity

The company was recognized as an open joint stock company following its privatization in 1997. At that time the company issued 15,121,856 shares with a nominal value of one GEL each. The company issued 1,980,031 shares in 2011 with a nominal value of one GEL each.

The difference between the nominal value of the shares issued and the amounts actually paid by the shareholders, comprising 3,484,317 GEL.

The Company made revaluation of Property, Plant and Equipment in 2018. Current balance of revaluation reserves is 25,841,205 GEL.

21. Subsequent Events

There have not been events after the balance sheet.

***

სს „მინა“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9

ქროუ

შპს „ქროუ ჯი“
აქსისის ბიზნეს ცენტრი, მე-4 სართული
დ. გამრეკელის ქ. 2,
თბილისი 0160, საქართველო
ტელ:+995 32 290 45 22
www.crowe.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „მინას“ ხელმძღვანელობას და აქციონერებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „მინას" (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „მინას“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლად ვმოქმედებთ, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ ასევე შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოხატვისთვისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარიანობა, თუ რამდენად შეუძლია მას ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელება; გააშუქოს, შეძლებისდაგვარად, ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები; და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის ბაზა, თუ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარად მოქცევის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია დასაბუთებული რწმუნება მოვიპოვოთ იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს გაყალბებით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე გავცეთ ჩვენი აუდიტორული დასკვნა. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი ხარისხის რწმუნება, თუმცა არა გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს გაყალბებამ ან დაშვებულმა შეცდომებმა. უზუსტობები ითვლება არსებითად იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად ან მთლიანობაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის ფარგლებში, ასს-ის შესაბამისად, ჩვენ ვეყრდნობით პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში გაყალბებით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკებს, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოხატვისთვის საჭირო საფუძველის შესაქმნელად. გაყალბების შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული უზუსტობის არგამოვლენისა, რადგან გაყალბება მოიცავს შეთქმულებას, თაღლითობას, განზრახ უმოქმედობას, არასწორ განცხადებას ან შიდა კონტროლის გადამეტებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და ბუღალტრული შეფასებებისა და დაკავშირებული განმარტებების მართებულობას;
- ვადგენთ ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული ბაზის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი დაბადოს ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ დაკავშირებული ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებაზე, ან თუ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არაადეკვატურია, ცვლილებები შევიტანოთ ჩვენს დასკვნაში. ჩვენი დასკვნები ეფუძნება წინამდებარე დოკუმენტის შექმნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვიოს;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, ასევე გამჟღავნებული ინფორმაციის წარდგენის საერთო პრეზენტაბელობას, სტრუქტურას და შინაარსს, და თუ რამდენად სამართლიანად წარმოაჩენს ფინანსური ანგარიშგება ოპერაციებსა და მოვლენებს;
- მოვიპოვებთ საკმარის სათანადო აუდიტურ მტკიცებულებას კომპანიის ფარგლებში მოქმედი საწარმოების ან საქმიანობის შესახებ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ

პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ მხოლოდ ჩვენს მიერ შედგენილ აუდიტურ დასკვნაზე.

ჩვენ ვურთიერთობთ მართვაზე პასუხისმგებელ შესაბამის პირებთან და ერთობლივად განვიხილავთ, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბს და ვადებს, ასევე აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მექანიზმებში აუდიტის დროს ჩვენს მიერ გამოვლენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ალექსანდრე სხილაძე

პარტნიორი

შპს „ქროუ ჯი“

2021 წლის 5 აპრილი */ხელმოწერილია და დამოწმებულია გეჭდით/*

სს „მინა“
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020 წლის 31„ დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	12,592,996	4,837,723
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	8	10,625,483	13,493,002
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	21,718,413	15,228,216
გადახდილი ავანსები		280,488	434, 594
სულ მიმდინარე აქტივები:		45,217,379	33,993,536
ძირითადი საშუალებები	10	**29,452,598**	**37,615,334**
არამატერიალური და სხვა აქტივები		89,486	110,184
სულ:		**74,759,463**	**71,719,054**
ძირითადი საშუალებები და აქციონერთა კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	3,118,023	2,672,782
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		226,346	235,832
პროცენტიანი სესხები და კრედიტები	12	4,343,365	3,868,924
დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	13	3,892,921	4,946,661
გადასახადები		359,810	82,457
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		11,940,466	11,806,656
გრძელვადიანი სესხი	12	4,284,783	7,500,137
აქციონერთა კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	17,101,887	17,101,887
გაუნაწილებელი მოგება		12,106,805	5,984,851
საემისიო კაპიტალი	20	3,484,317	3,484,317
გადაფასების რეზერვი	20	25,841,205	25,841,205
სულ:		**74,759,463**	**71,719,054**

ფინანსური დირექტორი (ხელმოწერა) გენერალური დირექტორი (ხელმოწერა)

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020 წელი	2019 წელი
წმინდა გაყიდვები	14	61,592,734	73,319,774
გაყიდვების თვითღირებულება	15	43,967,931	55,755,851
საერთო მოგება		17,624,803	17,563,923
საოპერაციო ხარჯები	16	9,626,453	9,249,398
ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი		7,998,350	4,323,526
სხვა შემოსავალი		217,917	94,017
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	17	(2,094,313)	(2,412,743)
ნეტო შემოსავალი გადასახადების გადახდამდე		6,121,954	6,004,800
საშემოსავლო გადასახადიდან სარგებელი (ხარჯები)		-	-
ნეტო შემოსავალი (ხარჯები)		6,121,954	6,004,800
გაუნაწილებელი მოგევა /(ზარალი)		6.121.954	6,004,800
დივიდენდები		-	-
გაუნაწილეებლი მოგება წლის დასაწყიში		5,984,851	(19,948)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		12,106.805	5,984,851

_____ _____

ფინანსური დირექტორი */ხელმოწერილია/* გენერალური დირექტორი */ხელმოწერილია/*

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020 წლის 31„ დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	12,592,996	4,837,723
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	8	10,625,483	13,493,002
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	21,718,413	15,228,216
გადახდილი ავანსები		280,488	434, 594
სულ მიმდინარე აქტივები:		45,217,379	33,993,536
ძირითადი საშუალებები	10	**29,452,598**	**37,615,334**
არამატერიალური და სხვა აქტივები		89,486	110,184
სულ:		**74,759,463**	**71,719,054**
ძირითადი საშუალებები და აქციონერთა კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	3,118,023	2,672,782
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		226,346	235,832
პროცენტიანი სესხები და კრედიტები	12	4,343,365	3,868,924
დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	13	3,892,921	4,946,661
გადასახადები		359,810	82,457
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		11,940,466	11,806,656
გრძელვადიანი სესხი	12	4,284,783	7,500,137
აქციონერთა კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	17,101,887	17,101,887
გაუნაწილებელი მოგება		12,106,805	5,984,851
საემისიო კაპიტალი	20	3,484,317	3,484,317
გადაფასების რეზერვი	20	25,841,205	25,841,205
სულ:		**74,759,463**	**71,719,054**

ფინანსური დირექტორი (ხელმოწერა)

გენერალური დირექტორი (ხელმოწერა)

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020 წელი	2019 წელი
წმინდა გაყიდვები	14	61,592,734	73,319,774
გაყიდვების თვითღირებულება	15	43,967,931	55,755,851
საერთო მოგება		17,624,803	17,563,923
საოპერაციო ხარჯები	16	9,626,453	9,249,398
ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი		7,998,350	4,323,526
სხვა შემოსავალი		217,917	94,017
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	17	(2,094,313)	(2,412,743)
ნეტო შემოსავალი გადასახადების გადახდამდე		6,121,954	6,004,800
საშემოსავლო გადასახადიდან სარგებელი (ხარჯები)		-	-
ნეტო შემოსავალი (ხარჯები)		6,121,954	6,004,800
გაუნაწილებელი მოგება /(ზარალი)		6.121.954	6,004,800
დივიდენდები		-	-
გაუნაწილეებლი მოგება წლის დასაწყიში		5,984,851	(19,948)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		12,106.805	5,984,851

ფინანსური დირექტორი */ხელმოწერილია/*

გენერალური დირექტორი */ხელმოწერილია/*

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სს „მინა“
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

	შენიშვნა	2020 წლის მდგომარეობით	2019 წლის მდგომარეობითლი
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ნეტო შემოსავალი გადასახადების გადახდამდე		6,121,954	6,004,800
კორექტირებები:			
ცვეთა		8,346,642	8,578,697
საპროცენტო ხარჯი		546,030	832,253
არამატერიალური და სხვა აქტივების ამორტიზაცია		74,616	74,616
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**15,089, 243**	**15,490,365**
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა დებიტორულ მოთხოვნებში		2,867,519	(5,654,105)
შემცირება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(6,490,196)	2,055,376
შემცირება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში		154,106	384,726
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		445,241	(762,195)
ზრდა/(შემცირება) სესხებსა და კრედიტებში		454,096	(4,182,557)
ზრდა/(კლება) გადასახადებში		277,353	82,457
ზრდა/(შემცირება) დაკავშირებული მხარეების კრედიტორულ დავალიანებაში		(1,053,739)	37,088
ზრდა/(შემცირება) კლიენტებისგან მიღებულ ავანსებში		(9,485)	-
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები		11,734,136	7,451,155
გადახდილი პროცენტები		(525,685)	(856,767)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები		**11,208,450**	**6,594,388**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(237,824)	(2,043,708)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები		**(237,824)**	**(2,043,708)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გრძელვადიანი სესხის დაფარვა		(3,215,354)	(3,000,370)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები		(3,215,354)	(7,493,550)
ნაღდ ფულში და ფულის ექვივალენტებში ნეტო ცვლილება		7,755,272	(1,550,311)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		4,837,723	3,287,413
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		**12,592,996**	**4,837,723**

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საემისიო შემოსავალი	გადაფასების რეზერვი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**17,101,887**	**(19,948)**	**3,484,317**	**25,841,205**
ნეტო შემოსავალი/(ზარალი)	-	6,004,800	-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-	738,711
რეზერვის გადაცემა	-	-	-	
ჩამოწერილი გადავადებული გადასახადები	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,101,887	5,984,851	3,484,317	25,841,205
		-	-	
--ნეტო შემოსავალი/(ზარალი)	-	6,121,954	-	-
ფიქსირებული აქტივების გადაფასება	-	-	-	-
რეზერვების გადაცემა	-	-	-	-
გადავადებული გადასახადების ჩამოწერა	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**17,101,887**	**12,106,806**	**3,484,317**	**25,841,205**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშვალდებული საწარმო

ა) ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაარსდა 1987 წელს. 1997 წლის მაისში განხორციელებული პრივატიზაციის შემდეგ, კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში მოქმედ სააქციო საზოგადოებად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: სოფელი ქსანი, თბილისიდან 40 კმ, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მინის ბოთლების წარმოება.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრების ზეგავლენას, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ნორმატიულ-სამართლებრივი და საგადასახადო ბაზა კვლავ განვითარების ეტაპზეა, თუმცა, განსხვავებული ინტერპრეტაციებით განიმარტება და ხშირად იცვლება, რაც დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს, სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად. ფინანსური ანგარიშგება კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის ხელმძღვანელობისეულ შეფასებას ასახავს. სამომავლო ბიზნეს გარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2. მომზადების საფუძველი

ა) შესაბამისობის განცხადება

ეს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მომზადდა.

ბ) ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული/პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო წელი ნიშნავს კალენდარულ წელს, რომელიც 1 იანვარს იწყება და 31 დეკემბერს მთავრდება.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და საქმიანობას უახლოეს მომავალშიც გააგრძელებს. კომპანიის ხელმძღვანელობას და აქციონერებს სურთ კომპანიის სამომავლო საქმიანობები განახორციელონ საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება მართებულია კომპანიისთვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებები და განმარტებითი შენიშვნები

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან და რომლებიც კომპანიამ უკვე მიიღო. ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ჩამონათვალი, რომელიც კომპანიაზე ვრცელდება:

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და ფინანსური მაჩვენებლების შეფასება“

ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები შეფასების სამ კატეგორიად უნდა კლასიფიცირდეს: „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, ან „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, ან „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.
- ბასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით უცვლელად გადავიდა ფასს 9-ში.
- ფასს 9 ამკვიდრებს გაუფასურების ზარალის აღიარების ახალ მოდელს - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება. არსებობს „სამ ეტაპიანი“ მიდგომა, რომელიც ემყარება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების დღიდან. პრაქტიკაში, ახალი წესები იმას ნიშნავს, რომ საწარმოებმა ზარალის რეზერვი ისეთი ოდენობით უნდა აღრიცხონ, რომელიც საკრედიტო რისკით არგაუფასურებული ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების დროს 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლია (ან სავაჭრო მოთხოვნებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ტოლია). თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გაუფასურება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის და არა 12-თვიანი საკრედიტო ზარალის მოდელის

გამოყენებით ფასდება. მოდელი მოიცავს ოპერაციების გამარტივებას საიჯარო და სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში. ფასს 15 ადგენს ერთიან ყოვლისმომცველ მოდელს საწარმოებისთვის, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღრიცხვისას. ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების წინა მითითებებს, მათ შორის, შემდეგ სტანდარტებს: ბასს 18 „შემოსავლები“, ბასს 11 „სამშენებლო ხელშეკრულებები და დაკავშირებული ინტერპრეტაციები“. აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე.

ფასს 15-ის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ფასს 15-ის თანახმად, საწარმო ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულება შესრულდება, ანუ როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე „კონტროლი“, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულების საფუძველზე, მომხმარებელს გადაეცემა. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოთ აღნიშნულ სტანდარტებში შეტანილი არცერთ ცვლილებას, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი"), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა და რომელშიც წარმოდგენილია ეს ფინანსური ანგარიშგება.

ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება

ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა ხელმძღვანელობის ისეთი დასკვნები, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას

ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადაიხედება მუდმივად. ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებებში ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასებების გადახედვა ხდება და ნებისმიერ მომდევნო პერიოდში, რომელზეც ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს.

ხელმძღვანელობას არ გამოუვლენია დაშვებებთან ან შეფასებებთან დაკავშირებული რაიმე ისეთი უზუსტობა, რომელმაც შესაძლოა განაპირობოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კორექტირებები.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის მთელი რიგი სააღრიცხვო პოლიტიკისა და გასამჟღავნებელი ინფორმაციის მიზნებისთვის, საჭიროა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების განსაზღვრა. რეალური ღირებულებები განისაზღვრა ფინანსური მაჩვენებლების შეფასებისა და გამჟღავნების მიზნებისათვის. რეალური ღირებულებები რეალური ღირებულების იერარქიაში კლასიფიცირდება სხვადასხვა დონების მიხედვით, შეფასების მეთოდში გამოყენებული მონაცემების საფუძველზე, კერძოდ:

- *1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები*: იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი).
- *მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები*: 1-ელ დონეზე კლასიფირებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. ფასებიდან გამომდინარე).
- *მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები*: არაემპირიული ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულების შესახებ.

თუ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მაშინ მთლიანად რეალური ღირებულების შეფასება რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე და კომპანიამ ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენა.

ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესრულების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. საანგარიშგებო თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ხელახლა გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღის დროს არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებთან დაკავშირებული საკურსო მოგება ან ზარალი წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზებულ ღირებულებასა (რომელიც კორექტირდება ამ პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთებისა და გადახდების კუთხით) და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზებულ ღირებულებას (რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსით კონვერტირდება) შორის სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით ფასდება, გადაიყვანება ოპერაციის განხორციელების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ბ) ფულადი სახსრები

ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული მოთხოვნამდე დეპოზიტები.

გ) დებიტორული დავალიანება

წარდგენის საფუძველი - დებიტორული დავალიანება აისახება გადაუხდელი ძირი თანხებით, უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის გარეშე. ბალანსის შედგენის თარიღისთვის უიმედო და საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ შეფასებულ სავარაუდო ზარალის ოდენობას, რომელიც ბალანსის შედგენის თარიღისთვის წარმოიშვა.

რეზერვები - საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი ეფუძნება შეფასებებს ყველა იმ შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს დებიტორული დავალიანების ამოღებაზე. საბოლოო ზარალები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე მაჩვენებლებისგან, რომლებიც პერიოდულ გადახედვას ექვემდებარება და კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ასახვა ხდება შესაბამისი პერიოდის შემოსავლებში.

მომხმარებლების კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით საიმედო ინფორმაციის არარსებობის გამო, სავარაუდო ზარალების შეფასება ბოლომდე ზუსტი არ არის. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად ზუსტად შეაფასა ზარალები და დარწმუნებულია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზარალის შეფასებები საკმარისად დასაფუთებულია ყველა ხელთარსებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება შეწონილი საშუალო ღირებულების პრინციპს ეფუძნება, და მოიცავს მარაგების შეძენასთან, წარმოებასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო (წმინდა) გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ე) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი, მიწის ან შენობის ერთეულის მიმართ, შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, როდესაც აქტივის აღიარება წყდება. ამან შეიძლება მოიცვას ნამეტის მთლიანი მოცულობა, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში, გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების

ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯს, რომელიც პირდაპირ აქტივის შეძენას უკავშირდება. საკუთარი ძალებით წარმოებული (აშენებული) აქტივების ღირებულება მოიცავს მასალებისა და შრომის ხარჯებს; სხვა ისეთ ხარჯებს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით მის სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანას; საგნების დემონტაჟისა და ამოღების, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯებს, სადაც ეს საგნებია განთავსებული; და სესხის აღების კაპიტალიზებულ ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილია, კაპიტალიზდება როგორც ამ მოწყობილობის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების საგანი ცალკეული კომპონენტებისგან შედგება, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების სხვადასხვა ვადა აქვს, თითოეული მათგანი განიხილება როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული საგანი (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება ნეტო თანხით მოგება-ზარალის ანაგრიშგების სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების საგნის კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება შესაბამისი საგნის საბალანსო ღირებულებაში, თუ არსებობს კომპანიისთვის სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა, ხოლო მისი ღირებულება შესაძლოა შეფასდეს საკმარისი სიზუსტით. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება აღიარების გაუქმებას ექვემდებარება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაშ ან ზარალში, მათი წარმოქმნის მომენტიდან.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების საგნებზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ან საკუთარი ძალებით წარმოებულ (აშენებულ) აქტივებთან დაკავშირებით, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღიდან. ცვეთა ფასდება აქტივის ფაქტობრივი ღირებულებით, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშაულებების საგნის თითოეული კომპონენტის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივში მატერიალიზებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მოხმარების კონკრეტულ ასპექტებს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. თითოეული პერიოდისთვის, აქტივის გადაფასებულ საბალანსო ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთასა და აქტივის თავდაპირველ ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთას შორის სხვაობა გადაფასების ნამეტიდა გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობები და კონსტრუქციები	33
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
მოძრავი ნივთები, ავეჯი და სხვა საოფისე მოწყობილობები	7-10

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და კორექტირება, საჭიროების შემთხვევაში.

ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის არაწარმოებული ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სესხებისა და დებიტორული დავალიანების კატეგორიებში, ხოლო არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებების სხვა კატეგორიაში.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებს, დებიტორულ დავალიანებას და დეპოზიტებს მათი წარმოშობის დღიდანვე. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების თავდაპირველად აღიარება ხდება გარიგების გაფორმების დღეს, როდესაც კომპანია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე საკონტრაქტო უფლებების ამოწურვის შემდეგ, ან როდესაც ის ფინანსურ აქტივთან

დაკავშირებით ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს გაასხვისებს ტრანზაქციის ფარგლებში, რა დროსაც ასევე ხდება ფინანსური აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკის და სარგებლის გადაცემა. გასხვისებულ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში ნებისმიერი ინტერესი, რომელიც კომპანიას წარმოეშობა, აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მისი საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ან გაუქმების ან ვადის ამოწურვის შემდეგ. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო თანხა აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას კანონიერი უფლება აქვს თანხები ჩათვალოს და კომპანია აპირებს ნეტო-საფუძველზე ანგარიშსწორებას ან ერთდროულად აქტივის რეალიზებასა და ვალდებულების დაფარვას.

სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელიც აქტიურ ბაზარზე არ კოტირდება. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხები და დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ანგარიშზე არსებულ ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა შეძენის თარიღიდან არის სამი თვე ან ნაკლები და რომელიც ექვემდებარება რეალურ ღირებულებაში უმნიშვნელო ცვლილების რისკს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველად აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ზ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები და აქციაზე ოფციონები აღიარდება, როგორც კაპიტალიდან დაქვითვა, შესაბამისი გადასახადების გამოკლებით.

თ) გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული მოგებაში ან ზარალში, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულების საფუძველზე, აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა ზარალის შემთხვევას, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ასეთი აქტივიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- მოვალის მხრიდან ვალის ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- მინიშნებები მოვალის გაკოტრებასთან დაკავშირებით;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც განაპირობებს გადახდის ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ასეთ აქტივებთან დაკავშირებით ითვალისწინებს გაუფასურების მტკიცებულებას როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ საფუძველზე. ყველა ცალკეულად მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული დავალიანება გაუფასურების საგანზე ინდივიდუალურად ფასდება. თუ აღმოჩნდება, რომ ყველა ცალკეულად მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული დავალიანება ინდივიდუალურად გაუფასურებული არ არის, შემდეგ ხდება კოლექტიურ საფუძველზე შეფასება ნებისმიერ გაუფასურებასთან მიმართებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა, თუმცა ჯერ არ გამოვლენილა. სესხების და დებიტორული დავალიანების კოლექტიური შეფასება ხდება რისკის იდენტური მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ერთად დაჯგუფებით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას, კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის ისტორიულ მონაცემებს, ამოღების ვადას და დამდგარი ზარალის მოცულობას, რომელიც კორექტირდება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე. ეს შეფასება ხორციელდება

იმის დასადგენად, არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი ზარალი ისტორიული მონაცემებით შემოთავაზებულ მოცულობაზე მეტია თუ ნაკლები.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა მის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების არსებულ ღირებულებას შორის, რომლებიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული რეზერვების ანგარიშზე. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის დარიცხვა გრძელდება რეზერვების დისკონტირებული ღირებულების გაზრდით. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი შემთხვევა გაუფასურების ზარალის ოდენობის შემცირებას განაპირობებს და თუ შემცირება ობიექტურად უკავშირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ შემთხვევას, გაუფასურების ზარალის შემცირება კორექტირდება მოგებაში ან ზარალში.

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა, განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი საშუალების გენერირებადი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება.

აქტივის ან ფულადი საშუალების გენერირებადი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისა, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტრირებულია მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივისთვის ან ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს ასახავს. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა შემოწმებაც ინდივიდუალურად ვერ მოხდა, ერთიანდება აქტივების მცირე ჯგუფებად. ეს ჯგუფები მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი საშუალების გენერირებადი ერთეულის მიერ წარმოქნილი ფულადი შემოდინებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ წარმოშობს ცალკე ფულად ნაკადებს და

გამოყენებულია ერთზე მეტი ფულადი საშუალების გენერირებადი ერთეულების მიერ. კორპორატიული აქტივები მიეკუთვნება ფულადი საშუალების გენერირებად ერთეულებს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე, ხოლო მისი გაუფასურებაზე შემოწმება ხდება იმ ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივების შემოწმების ფარგლებში, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი საშუალების გენერირებად ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი მიეკუთვნება აქტივების (ფულადი საშუალების გენერირებადი ერთეულების ჯგუფი) საბალანსო ღირებულებას პროპორციულ საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის დროს გამოყენებულ მაჩვენებლებში ადგილი ჰქონდა ცვლილებას. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ მოცულობამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რომელიც ექნებოდა აქტივს გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

ი) შემოსავლის აღიარება

მინის ბოთლების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მონაკვეთში, ანუ იმ დროს, როდესაც მომხმარებლის საქონელი გადის კომპანიის საწყობიდან და ამ საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიის შენობიდან გაგზავნილი საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველს გადაეცემა. ფასს 15-ის მიღება არავითარი გავლენა მოუხდენია, რადგან კომპანიის ამჟამინდელი პრაქტიკა შეესაბამება ფასს 15 სტანდარტს.

კ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საბანკო დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალს;
- ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯს;
- ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მისი დარიცხვის მომენტიდან, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სესხების აღებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიცირებადი აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღიარდება.

უცხოური ვალუტიდან მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან როგორც ფინანსური ხარჯი, იმისდა მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაშია.

ლ) საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე გადასახადისა და გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ეხება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ოპერაციებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს მოსალოდნელ გადასახადს, რომელიც გადახდას ან მიღებას ექვემდებარება შესაბამისი წლის დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე, რომელიც გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, და ასევე წინა წლებთან მიმართებაში გადასახდელი გადასახადის ნებისმიერ კორექტირებას.

2017 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება ეხება მოგების გადასახადს - გაანგარიშების და განაწილების მეთოდს. კერძოდ, თუ კომპანია არ აპირებს დივიდენდების სახით მოგების განაწილებას, მოგების გადასახადი იქნება 0%; ამრიგად, ამ შემთხვევაში, არ არსებობს სხვა ნებისმიერი დროებითი განსხვავება ფინანსურ და მოგების გადასახადებს შორის, რადგან მოგება საერთოდ არ არის გამოცხადებული.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არის 15%.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აღარ განიხილება 2017 წლის 1 იანვრიდან.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სალაროს ნაშთი	-	0

ფულადი სახსრები ბანკში	12,592,996	4,837,723
სულ	**12,592,996**	**4,837,723**

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	11,144,664	13,718,814
საეჭვო ვალების რეზერვი	(557,180)	(230,367
ნეტო სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	**10,587,484**	**13,488,447**
სხვა მოთხოვნები	37,999	4,555
სულ	**10,625,483**	**13,493,002**

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
მზა პროდუქცია	9,433,225	2,653,184
ნედლეული და სახარჯი მასალები	12,285,188	12,575,032
	21,718,413	**15,228,216**

10. ძირითადი საშუალებები და მოწყობილობა

		მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
რეალური ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**19,304,301**	**64,317,717**	**1,870,297**	**470,893**	**336**	**85,963,544**
საწყისი ნაშთი							
დამატებები		1,418,335	551,425	55,004	900	-	**2,025,664**
გასხვისება/გაყიდვა		-	(13,517)	(22,370)	(3,640)	-	**(39,527)**
გადაფასება		(8,823,389)	-	-	-	-	**(8,823,389)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**20,722,636**	**64,855,625**	**1,902,931**	**468,153**	**336**	**87,949,681**
დამატებები		7,014	3,774	68,921	104,196		**183,906**
ლიკვიდირებულია /გაყიდვებზე	გადაცემებზე	-	(744,128)	(67,881)	-	-	**(812,009)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**20,729,650**	**64,115,271**	**1,903,971**	**572,349**	**336**	**87,321,578**

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

დაგროვილი ცვეთა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**815,960**	**39,541,044**	**1,039,924**	**397,912**	**336**	**41,795,176**
მიმდინარე ცვეთა	3,306,817	5,002,258	227,920	41,702	-	8,578,697
ლიკვიდირებულია გადაცემებზე /გაყიდვებზე	-	(13,517)	(22,370)	(3,640)	-	(39,527)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,122,777**	**44,529,785**	**1,245,474**	**435,974**	**336**	**50,334,346**
მიმდინარე ცვეთა	3,321,144	4,769,755	198,401	57,343		**8,346,642**
ლიკვიდირებულია გადაცემებზე /გაყიდვებზე	-	(744,128)	(67,881)	-	0	**(812,009)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,443,921**	**48,555,412**	**1,375,993**	**493,317**	**336**	**57,868,979**

წმინდა საბალანსო ღირებულება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,599,859	20,325,840	657,457	32,179	-	**37,615,334**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,285,730	15,559,859	527,977	79,033	-	**29,452,598**

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		
გაზგამანაწილებელი კომპანია	1,076,357	1,040,596
„ენერგო პრო ჯორჯია“	427,135	395,522
„ჯეო სენდ“	369,935	318,522
ფაბრიკა 1900	306,325	-
ნაკსან	240,835	-
„ომკო ისტანბულ კაპილ სანაუი ვე ტიკარეტ“	230,105	152,394
„ანკარა ქეითერინგ“	40,932	39,061
სხვა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	426,399	555,838
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	**3,118,023**	**2,501,933**
სხვა კრედიტოეული დავალიანებები	-	170,849
სულ	**3,118,023**	**2,672,782**

12. დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება

კომპანიის დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
„ანადოლუ ჯამ სანაი ა.ს.“	3,375,429	3,726,147
„სისეჯამ დის ტიკარეტ ა.ს.“	433,880	1,149,652
„ტ.სისე ვე კამ ფაბრიკალარი ა.ს.“	83,613	70,862
სულ	**3,892,921**	**4,946,661**

13. სესხები და კრედიტები

კომპანიის სესხები და კრედიტები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მოკლევადიანი სესხი	4,284,784	3,750,070
გადასახდელი პროცენტი	58,581	118,855
სულ	**4,343,365**	**3,868,924**
გრძელვადიანი სესხი	4,284,784	7,500,137
სულ	**4,284,784**	**7,500,137**

ა) ვადები და დაფარვის გრაფიკი

კომპანიის გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები:

ფინანსური დაწესებულებიდან აღებული სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ბოლო გადახდის თარიღი	გადაუხდელი ძირითადი თანხა	დარიცხული პროცენტი	შემდეგი გადახდა	შემდეგი გადახდა
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC)	აშშ დოლარი	ინდექსი+2.9 %	15-ოქტ-22წ	2,615,384	17,878	15/04/2020	653,846

14. გაყიდვები

კომპანიის გაყიდვები 31 დეკემბრით დასრულებულ წელს:

	2020 წელი	2019 წელი
ადგილობრივი გაყიდვები	61,136,176	72,146,766
საექსპორტო გაყიდვები	456,558	1,173,008
სულ	**61,592,734**	**73,319,774**

გაყიდვები კლიენტების მიხედვით 31 დეკემბრით დასრულებულ წელს:

	2020 წელი	2019 წელი
სს „ბორჯომი“	45,758,870	59,547,957
სს „ლომისი“	6,996,033	3,957,335
სხვა (გამოპკლებული 5%-ზე ნაკლები)	8,837,830	9,814,483
სულ	**61,592,734**	**73, 319,774**

15. გაყიდვების თვითღირებულება

კომპანიის გაყიდვების თვითღირებულება 31 დეკემბრით დასრულებულ წელს:

	2020 წელი	2019 წელი
ნედლეული	19,047,157	24,580,954
ელექტროენერგია	14,070,619	17,851,192
ცვეთა	7.000,609	8,580,614
ხელფასები და დაკავშირებული გადასახადები	3,090,273	3,719,358
წარმოების ზედნადები	759,273	1,023,733
სულ	**43,967,931**	**55,755,851**

16. საოპერაციო ხარჯები

კომპანიის საოპერაციო ხარჯები 31 დეკემბრით დასრულებულ წელს:

	2020 წელი	2019 წელი
ტექნიკური დახმარებისა და კონსულტაციების ხარჯები	4,004,630	4,851,843
თანამშრომელთა ხელფასები და დანახარჯები	2,072,295	1,886,838
პრობლემურ მოთხოვნებზე გაწეული ხარჯები	402,706	15,991
უძრავი ინვენტარის ჩამოწერა	793,326	-
გაწეული მომსახურება	375,130	372,525
ამორტიზაცია და ცვეთა	751,558	757,315
ბაჟი, გადასახადები და მოსაკრებლები	395,943	493,640
სადაზღვევო ხარჯები	156,403	131,202
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	200,468	133,878
საწვავის ხარჯები	50,801	62,975
კომუნიკაცია და IT ხარჯები	29,889	37,537
წარმომადგენლობითი ხარჯები	8,904	60.006
ელექტროენერგიის ხარჯები	38,173	37,860
საპროექტო და სარეკლამო ხარჯები	46,713	4,706
სულ სხვა ხარჯები	299,515	394,081
სულ	**9,626,453**	**9,240,398**

17. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი 31 დეკემბრით დასრულებულ წელს:

	2020 წელი	2019 წელი
სავალუტო კურსის სხვაობიდან მოგება	2,766,590	853,807
საპროცენტო შემოსავალი	203,314	108,392
სულ ფინანსური შემოსავალი	**2,969,904**	**962,199**
სავალუტო კურსის სხვაობიდან ზარალი	4,518,187	**2,542,689**
საპროცენტო ხარჯი	546,030	832,253
სულ ფინანსური ხარჯები	**5,064,217**	**3,374,942**
ფინანუსრი შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	**2,094,313**	**2,412,743**

18. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა სახის საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ზეგავლენა არ გასცდეს აღნიშნული ლიმიტების ფარგლებს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა ითვალისწინებს შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მეორე მხარისთვის მიყენებული ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი შეიძლება წარმოიქმნას კომპანიის პროდუქციის გაყიდვების შედეგად საკრედიტო პირობების ან კონტრაგენტთან გაფორმებული სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აქტივების კლასის მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, ბრუტო (მე-8 შენიშვნა)	11,144,664	13,718,814
ფული და ფულის ექვივალენტები (მე-7 შენიშვნა)	12,592,996	4,837,723
სულ მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე	**23,737,660**	**18,556,537**

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციები, ვინაიდან მომხმარებლის პორტფელი დივერსიფიცირებულია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირ მომხმარებლებს შორის.

იმის მიუხედავად, რომ დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე შესაძლოა ეკონომიკურმა ფაქტორებმა იქონიოს გავლენა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე აღრიცხულ რეზერვებს აღემატება.

საბაზრო რისკი

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკ და სხვა ფასის რისკს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი მიზანია შეიქმნას რისკის ლიმიტები, რაც იმის გარანტიაა, რომ რისკებთან დაკავშირებული ხარჯები, ყოველთვის დარჩეს ამ ლიმიტების ფარგლებში. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმისთვის, რომ უზრუნველყოს შიდა მართვის ფუნქციების სათანადო ფუნქციონირება და პროცედურებმა მინიმუმამდე შეამციროს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

სენსიტიურობა ბაზრის რისკების მიმართ, რომელიც შედის ქვემოთ ეფუძნება ფაქტორში ცვლილებას, იმ დროს როცა ყველა სხვა ფაქტორი მუდმივია. პრაქტიკულად ნაკლებ სავარაუდოა, რომ ზოგიერთ ფაქტორში წარმომქმნილი ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოურ სავალუტო განაკვეთებში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. ეს პოზიციები მოწმდება ყოველთვიურად. ქვემოთ ცხრილი აჯამებს კომპანიის რისკებს უცხოურ სავალუტო გაცვლითი რისკი მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო ნაშთის პოზიცია
ქართული ლარი	15,355,499	(2,176,375)	13,179,124
აშშ დოლარი	2,781,547	(16,354,980)	(13,573,433)
ევრო	419,491	(286,301)	133,191
უდრის:	**18,556,537**	**(18,817,655)**	**(261,118)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	**მონეტარული ფინანსური ვალდებულებები**	**წმინდა საბალანსო ნაშთის პოზიცია**
ქართული ლარი	15,861,320	(2,486,187)	13,375,133
აშშდ	7,547,508	(12,767,360)	(5,219,852)
ევრო	328,833	(385,546)	(56,714)
უდრის:	**23,737,660**	**(15,639,093)**	**8,098,567**

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს, ინვესტიციებს კაპიტალში და არამონეტარულ აქტივებს, რომლებიც ითვლება რომ არ წარმოქმნის რაიმე სახის მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს მოგებისა და ზარალის სენსიტიურობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსში გონივრულ შესაძლო ცვლილებების მოგებისა და ზარალი სენსიტიურობას კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან შედარებით, როცა ყველა სხვა ცვლადი მუდმივია:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(521,985)	(1,357,343)
აშშ დოლარის შესუსტება 10%-ით	521,985	1,357,343
ევროს გამყარება 10%-ით	(5,671)	13,319)
ევროს შესუსტება 10%-ით	5,671	(13,319)

რისკის ზეგავლენა გაანგარიშდა მხოლოდ იმ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც შესაბამისი კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებშია დენომინირებული. კომპანიის მგრძნობელობა სავალუტო რისკის მიმართ საანგარიშგებო

პერიოდის ბოლოსთვის არ შეესაბამება წლის განმავლობაში არსებულ სტანდარტულ რისკის დონეს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია თავის თავზე იღებს რისკს, რომელიც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი საშუალებების ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების რყევას უკავშირდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის რისკების მიმართ. ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი მოცულობა საბალანსო ღირებულებით, რომელიც კლასიფიცირებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის, გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით, ზემოაღნიშნულიდან რომელიც უფრო ადრე დადგება.

	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
სულ ფინანსური აქტივები	4,952,505	7,756,742	4,803,932	1,043,359	**18,556,537**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,501,933)	-	(8,815,585)	(7,500,137)	**(18,817,655)**
აქტივების და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის ნეტო სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,450,572**	**7,756,742 ,295**	**((4,011,653)**	**(6,456,779)**	**(261,118)**
სულ ფინანსური აქტივები	20,095,886	2,985,224	99,368	557,181	**23,737,660**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,118,023)	-	(8,236,287)	(4,284,784)	**(15,639,093)**
აქტივების და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის ნეტო სხვაობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,977,863**	**2,985,224**	**(8,136,918)**	**(63,727,602)**	**(8,098,567)**

კომპანიას გაწერილი არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოა.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შესაძლოა სირთულეები შეექმნას ფინანსური ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანია ექვემდებარება საკუთარი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიურად მოთხოვნის რისკს. ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს ფულადი საშუალებების ნაკადების ყოველთვიურ მცოცავ პროგნოზებს.

ხელმძღვანელობა აფასებს შესაძლებელია თუ არა ფულადი საშუალებების და საბანკო დეპოზიტების ლიკვიდობის პორტფელი რეალიზებული იქნას ფულად საშუალებად ერთი

დღის განმავლობაში იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს გაუთვალისწინებელი ლიკვიდობის მოთხოვნები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის დარჩენილი ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. როდესაც გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, არრიცხული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე მითითებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფიქსირებული სალარო შეთანხმებების კურსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადასთან დაკავშირებული ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ნასესხები თანხები	-	-	3,868,924	7,500,137	**11,369,061**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული მოთხოვნები	2,501,933	-	4,946,661	-	**7,448,594**
აქტივების და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის ნეტო სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,501,933**	**-**	**8,815,585**	**7,500,137**	**18,817,655**
ნასესხები თანხები	-	-	4,343,365	4,284,784	**8,628,149**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული მოთხოვნები	3,118,023	-	3,892,921	-	**7,010,945**
აქტივების და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის ნეტო სხვაობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,118,023**	**-**	**8,236,287**	**4,284,784**	**15,639,093**

19. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. ქვემოთ წარმოდგენილია რეალური ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით არის გაანალიზებული, და იმ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით არ არის შეფასებული:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4,837,723	-	-	**4,837,723**
სავაჭრო მოთხოვნები	-	13,718,814	-	**13,718,814**
სულ აქტივები	**4,837,723**	13,718,814 13,718,814 13,718,814-	-	**18,556,537**
ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	-	-	11,369,061	**11,369,061**
სავაჭრო ვალდებულებები	-	7,448,594	-	**7,448,594**
სულ ვალდებულებები	**-**	**7,448,594**	**11,369,061** -	**18,817,655**

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	12,592,996	-	-	**12,592,996**
სავაჭრო მოთხოვნები	-	11,144,664	-	**11,144,664**
სულ აქტივები	**12,592,996**	**11,144,664**	**-**	**23,737,660**
ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	-	-	8,628,149	**8,628,149**
სავაჭრო ვალდებულებები	-	7,010,945		**7,010,945**
სულ ვალდებულებები	**-**	**7,010,945**	**8,628,149**	**15,639,093**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ჩვეულებრივ მათ საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს ეფუძნება, რომელიც დისკონტირებული იქნება ახალ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მოქმედი მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, მსგავსი საკრედიტო რისკით და დარჩენილი დაფარვის ვადით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები კონტრაგენტის საკრედიტო რისკზეა დამოკიდებული. დაფარვამდე შენარჩუნებული ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრა კვოტირებული სატენდერო ფასების საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის და განსაზღვრული დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლისთვისაც კვოტირებული ფასი არ არსებობს, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მოქმედი მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე შეფასდა. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების და სხვა ფინანსური ვალდებულებების

საბალანსო ღირებულება, მოკლევადიანი დაფარვის ვადიდან გამომდინარე, თითქმის რეალური ღირებულების თანაბარია.

20. აქციონერთა კაპიტალი

1997 წელს განხორციელებული პრივატიზაციის შემდეგ, კომპანია აღიარებულია როგორც ღია სააქციო საზოგადოება. იმ დროისთვის კომპანიას გამოშვებული ჰქონდა 15,121,856 აქცია, რომელტაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება იყო ერთი ლარი. 2011 წელს კომპანიამ გამოუშვა 1,980,031 აქცია, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება იყო ერთი ლარი.

გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებასა და აქციონერთა მიერ გადახდილ ფაქტობრივ თანხებს შორის სხვაობა შეადგენს 3,484,317 ლარს.

2018 წელს კომპანიამ ძირითადი საშუალებების გადაფასება განახორციელა. გადაფასების რეზერვის მიმდინარე ბალანსი 25,841,205 ლარს შეადგენს.

21. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

სს „მინა“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წელი

სარჩევი

1. კომპანიის მოკლე ისტორია. 3
2. წარმოება. 3
3. გაყიდვები. 4
4. ფინანსური შედეგები. 4
5. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე. 4
6. კომპანიის განვითარების გზები. 5
7. საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები. 5
8. კომპანიის მართვა. 6
9. ადამიანური რესურსები და სოციალური აქტივობა. 7
10. გარემოს დაცვა. 8

1. კომპანიის მოკლე ისტორია. სს მინამ ფუნქციონირება დაიწყო 1987 წლის ივლისში ქსნის მინის ტარის ქარხნის სახელწოდებით. 1995 წელს ქარხნის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზოგადოება “მინა” (100% სახელმწიფო წილით).

1997 წელს კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა თურქულმა სამრეწველო ჰოლდინგმა შიშეჯამმა (ლინკი: www.sisecam.com), რომელიც შედის მსოფლიოში მინის მწარმოებელი კომპანიების პირველ ექვსეულში, 4 მილიარდ დოლარზე მეტი წლიური გაყიდვების მოცულობით და აერთიანებს 60-ზე მეტ შვილობილ კომპანიას, დასაქმებულთა რაოდენობა კი აღწევს 20 ათას. კაცს.

სხვადასხვა დროს კომპანიის აქციონერები იყვნენ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

2010 წლიდან სს მინას აქციების 100%-ს ფლობს კომპანიათა ჯგუფი ანადოლუ ჯამ სანაი (ლინკი www.anadolucam.com.tr), რომელიც ჩამოყალიბდა 2000 წელს და გააერთიანა შიშეჯამის ჯგუფში შემავალი მინის ტარის მწარმოებელი კომპანიები.

2020 წლის 6 ნოემბრიდან სს მინას აქციების 100%-ის მფლობელი კვლავ გახდა თურქული სამრეწველო ჰოლდინგი შიშეჯამი **Türkiye Şişe ve Cam Fabrikaları A.Ş.** (ლინკი: www.sisecam.com).

საწარმომ, თავისი არსებობის მანძილზე, სერიოზული წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში ყოველწლიური სოლიდური შენატანებით ბიუჯეტში, სამუშაო ადგილების შექმნით, ქართველი და უცხოელი მომხმარებლის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფით.

2. წარმოება. მინის წარმოება ხასიათდება რთული ტექნოლოგიური რეჟიმით და უწყვეტი ციკლით. ამჟამად სს მინაში ფუნქციონირებს ორი მინის სახარში ღუმელი და ოთხი მინის დამყალიბებელი მანქანა-ხაზი.

2020 წელს COVID 19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა, ისევე როგორც სხვა მრავალ კომპანიაზე, გარკვეული გავლენა მოახდინა სს მინას წარმოების და გაყიდვების პროცესზე. კრიზისის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი იყო წლის პირველ ნახევარში და კომპანია იძულებული გახდა შეემცირებინა საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა. მიუხედავად სიძნელეებისა, კომპანიას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია.

2020 წელს წინა წელთან შედარებით მინის ტარის წარმოება შემცირდა 11%-ით. საანგარიშო პერიოდში დამზადდა სხვადასხვა მოცულობის 15 სახეობის მინის ტარის პროდუქცია, ხოლო გაყიდულია 25 სახეობის პროდუქცია.

სს მინა აღრიცხვას აწარმოებს როგორც ცალობით, ასევე ტონაჟით. მზადდება სხვადასხვა მოცულობის მინის ტარა. შესაბამისად ცალობით აღრიცხვა, არ გვაძლევს სწორ ინფორმაციას სხვადასხვა პერიოდის ურთიერთშედარების დროს. ამიტომ დარგში მიღებულია - ტონა, ანალიზის და ანგარიშგების ერთეულად.

3. გაყიდვები. COVID 19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გაყიდვების პროცესზე. მინის ტარის მომხმარებლების გარკვეულმა ნაწილმა დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება ან შეამცირა მოხმარების მოცულობა.

2020 წელს წინა წელთან შედარებით გაყიდვების მოცულობა შემცირდა 26%-ით. ადგილობრივ ბაზარზე კომპანიამ გაყიდა მთლიანი გაყიდვების 99%, ხოლო ექსპორტზე - მხოლოდ 1%. ადგილობრივი გაყიდვები ძირითადად მოდიოდა მინერალური წყლების, ღვინის ჩამომსხმელი, ლუდის, საკვები პროდუქტების და გამაგრილებელი სასმელების სექტორზე.

სს მინას ძირითადი მომხმარებლები არიან: აიდიეს ბორჯომი საქართველო; სს წყალი მარგებელი (ნაბეღლავი); სს „ლომისი“: სს „თელიანი ველი“.

4. ფინანსური შედეგები. ფინანსური მაჩვენებლების დეტალური ანგარიში იხილეთ „სს მინას 2020 წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში“. ყველა მონაცემი მოცემულია ლარში.

5. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე. სს მინა სისტემატიურად ეწევა სამოქმედო ბაზრების კვლევას და კონკურენტული მდგომარეობის ანალიზს. იგი კომპანიის საქმიანობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ინფორმაციის ფლობა ბაზარზე სასიცოცხლოთ მნიშვნელოვანია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების და საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

ბაზრის წილის შედარებით ანალიზი ხდება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით, ბაზარზე ჩატარებული დაკვირვებით და სხვა საშუალებებით.

სს მინა მრავალი წელია პროდუქციას ყიდის ამიერკავკასიის ბაზარზე, კერძოდ აზერბაიჯანში. სს მინა სისტემატიურად აწარმოებს ბაზრის კვლევას, იღებს მონაწილეობას გამოფენებში, აქვს პირდაპირი კონტაქტი და შეხვედრები მომხმარებლებთან. შესაბამისად მომავალ წლებში ვგეგმავთ გაყიდვების გაფართოებას აზერბაიჯანის ბაზარზე.

სს მინას ურთიერთობა აქვს შიდა ბაზარზე მოქმედ მინერალური, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა მსხვილ კომპანიასთან. გარდა აღნიშნულისა, ღვინის სექტორზე კომპანიას ურთიერთობა აქვს 90 წვრილ მეწარმეს და საოჯახო მეურნეობასთან.

კომპანიას ინტენსიური კავშირი აქვს მომხმარებლებთან. ჩვენი წარმომადგენლები სისტემატიურად ესწრებიან ყველა ახალი პარტიის ჩამოსხმის პროცეს და ერთობლივად განიხილავენ ინფორმაციას წარმოშობილი წუნების შესახებ. ტარდება კვლევები მომხმარებლის სამომავლო მოთხოვნების შესასწავლად. კომპანია განუწყვეტლივ მუშაობს პროდუქციის ხარისხის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნები დღეისათვის და სამომავლოდ.

ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით კომპანიას დაგეგმილი აქვს მომხმარებლებთან ურთიერთობების გაუმჯობესების სტრატეგიული მიმართულებები:

- მსხვილ მომხმარებლებთან ერთობლივად მუშაობის დეტალური დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთობების ფორმების სრულყოფა;
- მომსახურების ხარისხის სრულყოფა და გაფართოება.

2020 წელს კომპანიამ დაიწყო სტრატეგიული გეგმის განხორციელება:

- საქართველოს ღვინის ბაზრის სექტორზე დომინირებული პოზიციის მოპოვება;
- უალკოჰოლო სასმელების ბაზრის სექტორზე საკუთარი წილის გაზრდა;
- თეთრი მინის წარმოების და გაყიდვების გაფართოება.

6. კომპანიის განვითარების გზები. სს მინას მენეჯმენტმა, არსებული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად, განსაზღვრა შემდგომი განვითარების სტრატეგიული გეგმა. გეგმა შემუშავებულია სს მინას წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემატური საკითხების და გამოწვევების საფუძველზე.

კომპანიის განვითარების ძირითადი მიმართულებებია:

- საწარმოო სიმძლავრის ზრდა, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად;
- წარმოების ეფექტიანობის ზრდა;
- დანახარჯების ოპტიმიზაცია და ფინანსური კონტროლის ზრდა;
- ადამიანური რესურსების სრულყოფა.

7. საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები. სს მინას რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს. კომპანიას შემუშავებული აქვს რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის პრინციპები. კომპანია ერთმანეთისგან მიჯნავს რისკებს, რომელზეც ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია და რისკებს რომლის მართვაც შეუძლია.

სტრატეგიული რისკები. სტრატეგიულ რისკებს, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს სს მინას საქმიანობაზე, შეიძლება მიეკუთვნოს რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოში ჩამოსხმული ღვინის 90%-ზე მეტი, მინერალური წყლების 65% და უალკოჰოლო სასმელების 50% ექსპორტით გადის მეზობელ ქვეყნებში, რის გამოც ბაზრის მთლიანი მოთხოვნა დამოკიდებულია რეგიონის უახლოეს ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური გარემო ზეგავლენით სს მინამ არაერთხელ განიცადა ზიანი.

საქართველოს ეკონომიკა კონკურენციის არაეფექტური კანონმდებლობით ხასიათდება. საქართველოში ბაზარზე შესვლის და ანტიდემპინგური კანონმდებლობის არ არსებობის გამო, უცხოურ კომპანიებთან შედარებით სს მინა არასამართლიან კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდა.

ოპერაციული რისკები. ოპერაციულ რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი), საქართველოს რკინიგზის მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცებასთან, რომელიც მკვეთრად ზრდის ენერგორესურსების და ტრანსპორტირების ხარჯებს და ხელს უშლის დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასეთი პრაქტიკა სს მინას არაერთხელ ჰქონია.

ფინანსური რისკები. ფინანსური რისკების დეტალური ანგარიში იხილეთ “სს მინას 2020 წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში“, მუხლი 19, ფინანსური რისკების მართვა.

საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები. საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები, რომლებსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ სს მინას საქმიანობაზე, მიეკუთვნება საგადასახადო, შრომის დაცვის, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის რისკები.

საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი და საგადასახადო ბაზა სისტემატიურად განიცდის განვითარებას და სრულყოფას, თუმცა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს.

8. კომპანიის მართვა. საზოგადოების მართვა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და საზოგადოების წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის დამტკიცების და განაწილების შესახებ საკითხები.

2020 წლის 19 ივნისს ჩატარდა აქციონერთა კრება. კრებას ესწრებოდა თურქული კომპანია „Anadolu Cam Sanayii A.S"-ის წარმომადგენლები აბდულა კილინჩი და სიბელ კოჩი. კომპანია „Anadolu Cam Sanayii A.S" (რეგისტრაციის ნომერი 10340 ფლობს სს მინას აქციების 100 %-ს, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (რეგისტრაციის ნომერი 236034830).

აქციონერთა კრებამ მოისმინა დირექტორთა საბჭოს და აუდიტორული კომპანიის ანგარიშები და დაამტკიცა.

აქციონერებმა გადაწყვიტეს მომდევნო წელს თანამშრომლობა გააგრძელონ იგივე აუდიტორულ კომპანიასთან.

დივიდენდების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს მინას საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას. საზოგადოების წესდების და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 5 კაცით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, napr.gov.ge.

საზოგადოების უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს სს მინას დირექტორთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მეთვალყურეთა საბჭოს და აქციონერების წინაშე. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 5 კაცით: დეტალური ინფორმაცია იხილეთ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, napr.gov.ge.

მართვის მეთოდების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სახის ტრეინინგებს. 2020 წელს კომპანიაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრეინინგი. ტრეინინგში მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა.

ხარისხის მართვის კუთხით კომპანიაში დანერგილია:

- ISO 9001-2015 (მენეჯმენტის მართვა) TUV
- ISO FSSC -2200 (ISO 22002.4) (სურსათის უვნებლობა) TUV
- ISO 18001 (შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება)

2022 წელს დაგეგმილია ISO 14000 ეკოლოგიის უსაფრთხოების სერთიფიცირება.

9. ადამიანური რესურსები და სოციალური აქტივობა. კომპანიაში დასაქმებულია 231 კაცი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა. პერსონალის ძირითადი ნაწილი მუშათა კატეგორიას განეკუთვნება, დასაქმებულთა 73 %. 2020 წელს კომპანია დატოვა 8 კაცმა, ხოლო მიღებულია 13 კაცი.

კომპანიაში გენდერულ თანაფარდობას განაპირობებს შრომის მძიმე პირობები, წარმოების უწყვეტი ციკლი. პროფესიების უმეტესი ნაწილი ქალის შრომისთვის მიუღებელია. შესაბამისად საერთო პერსონალის 19 % ქალია, ხოლო 81 % მამაკაცი.

კომპანიის პერსონალის შემადგენლობა საშუალო ასაკისა. 40 წლამდე პერსონალი მთლიანი პერსონალის 50 %-ს შეადგენს, 60 წლამდე - 38%-ია, ხოლო სამოც წელზე ზევით მხოლოდ 12 %.

კომპანიაში სისტემატიურად მიმდინარეობს პერსონალის სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება. 2020 წელს დაგემილი ტრენინგების უმეტესი ნაწილი პანდემიის გამო არ შედგა, მხოლოდ ონლაინ რეჟიმში - „SAP” - ის დანერგვასთან დაკავშირებით.

- შესყიდვების განყოფილება 3 თანამშრომელი;
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში ახალი მოდულის „SAP” - ის დანერგვასთან დაკავშირებით HR - განყოფილების თანამშრომელს 4 თვის განმავლობაში ჩაუტარდა ონლაინ ტრნინგები და სისტემა 2020 წლის ნოემბრიდან მუშაობს რეალურ რეჟიმში;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება 1 თანამშრომელი.

საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სს მინა პერსონალს უნაზღაურებს
ზენორმატიულ სამუშაო დროს. გრაფიკით მომუშავე თანამშრომლებს (24 საათიანი სამუშაო ციკლი) ეძლევათ დანამატი ღამის სამუშაო საათებზე, სადღესასწაულო დღეებში ორმაგი ანაზღაურება. გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ანაზღაურებისა, კომპანიას საკუთარი ინიციატივით შექმნილი აქვს თანამშრომელთა მატერიალური დახმარების სისტემა.

10. გარემოს დაცვა. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი სრულყოფა წარმოადგენს
სს მინას სოციალური პასუხისმგებლობის წარმოჩენის გზას და გარემოს დაბინძურების
შემცირების ეფექტურ მეთოდს. საზოგადოება ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების
პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
სს.,,მინა“ გარემოს დაცვის საკითხებში ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს და
ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვით #000055
გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შესაბამისად კომპანია ასრულებს აღებულ ვალდებულებებს, კერძოდ:

ა) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება:
ბ) ნარჩენების მართვა.
გ) ნიადაგის და გრუნტის დაბინძურებისაგან დაცვა

11. **სს მინას აქციების მფლობელობითი სტრუქტურა.**
სააქციო საზოგადოება „Anadolu Cam Sanayii A.S.“, რომელიც ფლობდა სს მინას აქციების 100%-ს, თურქეთის სავაჭრო რეესტრის გადაწყვეტილებით 2020 წლის 28 აგვისტოს შეერწყა მის მფლობელ კომპანიას სააქციო საზოგადოებას „ Turkiye Sise ve Cam Fabrikalari A.S.“. 2020 წლის 6 ნოემბერს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა "კავკასრეესტრი" დაარეგისტრირა შესაბამისი ცვლილება და სს მინას აქციების 100%-ს მესაკუთრე გახდა სააქციო საზოგადოება „ Turkiye Sise ve Cam Fabrikalari A.S.“

სს მინას აქციების მფლობელობითი სტრუქტურა

სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	% წილის ოდენობა	მფლობელობის ფორმა
Turkiye Sise ve Cam Fabrikalari A.S. (Sisecam) ს/ნ 0815003447300016	თურქეთი, სტამბოლი, თუზლა, იჩმელერის კვარტ., D-100, ქარაიოლუს გამზირი 44/ა	100	პირდაპირი

სააქციო საზოგადოების „ Turkiye Sise ve Cam Fabrikalari A.S.“აქციების მფლობელობითი სტრუქტურა

სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	% წილის ოდენობა	მფლობელობის ფორმა,
Turkiye Is Bankas A.S. 431112	ევენტი, კონაკლარ მჰ. Büyükdere Caddesi Meltem Sok. İş Kuleleri No:4, 34330 Beşiktaş/İstanbul,რეესტრის No:431112	67.54	პირდაპირი
Efes Holding	Hacı Mehmet Sokak Dalyan Konut Sitesi No:24/G Blok Kat 1 34726 Fenerbahçe/Kadıköy/ İstanbul Taxpayer code: 3250032049 REGISTER No: 457981	8.23	პირდაპირი
Anadolu Hayat Emeklilik A.S.	İş Kuleleri Kule 2 Levent 34330 Beşiktaş/İstanbul İSTANBUL Taxpayer code: 0680064936 REGISTER No: 265737	0.05	
სხვა*	საჯარო ვაჭრობის ნაწილი	24.11	

*სხვა შედგება კომპანიის საჯარო ნაწილისგან და ამ ჯგუფის რომელიმე აქციონერის წილობრივი წილი არ აღემატება 5%-ს.

სააქციო საზოგადოების Turkiye Is Bankas A.S. აქციების მფლობელობითი სტრუქტურა

სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	% წილის ოდენობა	მფლობელობის ფორმა,
İşbank Pension Fund	თურქეთი, ს/ნ: 8150030260 რეგისტრირებული მისამართი - 24 G Kat: 1 Fenerbahçe, 34726 Kadikoy, Istanbul, Turkey	37.52	პირდაპირი
Atatürk Share	თურქეთი, რეგისტრირებული მისამართი: SÖĞÜTÖZÜ Anadolu Boulevard No:12, ანკარა, თურქეთი).	28.09	პირდაპირი
სხვა*	საჯარო ვაჭრობის ნაწილი	34.39	

*სხვა შედგება კომპანიის საჯარო ნაწილისგან და ამ ჯგუფის რომელიმე აქციონერის წილობრივი წილი არ აღემატება 5%-ს.

სს მინას გენერალური დირექტორი

ოლგუნ თაშდემირი

სააქციო საზოგადოების Turkiye Is Bankas A.S. აქციების მფლობელობითი სტრუქტურა

სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	% წილის ოდენობა	მფლობელობის ფორმა,
İşbank Pension Fund	თურქეთი, ს/ნ: 8150030260 რეგისტრირებული მისამართი - 24 G Kat: 1 Fenerbahçe, 34726 Kadikoy, Istanbul, Turkey	37.52	პირდაპირი
Atatürk Share	თურქეთი, რეგისტრირებული მისამართი: SÖĞÜTÖZÜ Anadolu Boulevard No:12, ანკარა, თურქეთი).	28.09	პირდაპირი
სხვა*	საჯარო ვაჭრობის ნაწილი	34.39	

*სხვა შედგება კომპანიის საჯარო ნაწილისგან და ამ ჯგუფის რომელიმე აქციონერის წილობრივი წილი არ აღემატება 5%-ს.

სს მინას გენერალური დირექტორი

ოლგუნ თამდემირი

Crowe GE LLC

Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str.,
Tbilisi 0160, Georgia

Main +995 32 290 45 22
www.crowe.ge

სს მინა

27 სექტემბერი, 2021

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2021 წლის 23 სექტემბერს გაცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2021 წლის 23 სექტემბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2021 წლის 19 აპრილს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორული დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2021 წლის 19 აპრილის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხ[illegible] არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ალექსანდრე სხილაძე
პარტნიორი
Crowe GE LLC